ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016357) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგო (ლარში)	კოეფიციენტი
2	საკრებულოს თავმჯდომარე	7360	4.6
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	5760	3.6
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	4640	2.9
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	4000	2.5
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3520	2.2
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2880	1.8
7	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	4160	
8	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	3200	2.0
9	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2400	1.5
10	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1920	1.2
11	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1760	1.1

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა წოწერია**